ახალგაზრდობა და მას მედია

(სამოქალაქო განათლება და საინფორმაციო საშუალებათა როლი)

ნებისმიერ საზოგადოებაში, განსაკუთრებით რეფორმების პერიოდში, დიდ მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობის აზრს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ნებისმიერი გარდაქმნის პერსპექტივა. ახალგაზრდობა თავისთავად წარმოადგენს მოქმედი საზოგადოების ცვლას სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რა პოზიცია უჭირავს ახალგაზრდა თაობას.

თავისთავად ახალგაზრდობის, ისე როგორც მთელი საზოგადოების განწობა დამოკიდებულია იმაზე თუ რას ხედავს იგი. ეს დებულება სადაო არ უნდა იყოს, როგორც ის გარემოება, რომ მასმედია უდიდეს როლს ასრულებს თანეამედროვე საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.

სამწუხაროდ, გარდამავალი პერიოდის ქვენების პოლიტიკური ელიტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას. ნომენკლატურისათვის მასმედია აღიქმევა ბნუებრივ მტრად, თუ იგი დამოუკიდებელია, ან ერთგულ მსახურად, თუ იგი კონტროლდება პოლიტიკური ძალების მიერ.

გამონაკლისს ამ მხრივ არც ამიერკავკასიის ქვეყნები წარმოადგენენ. უფრო მეტიც, ამ ქვეყნებში აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს.

ამავე დროს სამწუხაროდ არც ინტელექტუალურ ელიტაში არ მიმდინარეობს აღნიშნული მოვლენის კვლევა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს.

პროექტი "ახალგაზრდობის მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში" სწორედ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში 2001 წლის ზაფხულში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, რომელიც 17-დან 35 წლამდე 1000 ახალგაზრდას შორის ჩატარდა, მეტად საინტერესო სურათი გამოვალინა.

X X X

მრავალ მონაცემს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია 4 ტენდენცია:

1. დემოკრატიის არსის არცოდნა.

აშკარა გახდა, რომ ზოგადი სურათი მეტად მძიმეა. საზოგადოების დიდ ნაწილს, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს ახალგაზრდობას თვით დემოკრატიის არსიც კი არ ესმის. დემოკრატიის უმთავრეს მიზნად ითვლება უფლება, თავისუფლად გამოთქვა საკუთარი აზრი (გამოკითხულთა 48%) და ისეთივე შესაძლებლობები გქონდეს, როგორც სხვას (42%). ამავე დროს ნაკლები ყურადღება ექცევა უმცირესობის აზრის პატივისცემას (18%) და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას (14%). ანუ ახალგაზრდობამ არ იცის, რომ დემოკრატია ყოველივე ზემოთქმულის ერთიანობას გულისხმობს.

2. საზოგადოებრივი აპათია

როგორც საერთოდ მოსახლეობის, ისე ახალგაზრდა თაობის უდიდეს ნაწილს დაკარგული აქვს ხვალინდელი დღის იმედი. კითხვაზე, შეუძლიათ თუ არა გავლენის მოხდენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, სხვადასხვა მიზეზის გამო 67%-ზე მეტმა უარყოფითი პასუხი გასცა და მხოლოდ 15%,ზე ნაკლებმა უპასუხა დაებითად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 44.9% მიაჩნია რომ, თუ თვითონ არა, მასმედიას შეუძლია რეალური გავლენა მოახდინოს მიმდინარე პროცესებზე და ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგალითად პოლიტიკური ორგგანიზაციებისა ან საპროტესტო აქციების როლი.

3. პატრიმონიალურ ურთიერთობათა გამოვლენა

წარმოჩინდა ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა, კითხვაზე რა გზით შეიძლება საკუთარი ცხოვრების უკეთ მოწყობა, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გადაწყვეტილების მიმღებებთან ნათესაური და არაფორმალური კავშირები დაასახელა გამოკითხულთა მხოლოდ 21%. მართალია ეს მაჩვენებელი თავისთავად შემაშფოთებელია, მაგრამ ქვეყანაში გაბატონებული კლანურ-ოჯახური ძლიერი სისტემის არსებობის ფონზე ფაქტი, რომ თურმე სხვა, კანონიერი საშუალებებით შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა, გარკვეული ოპტიმიზმის გრძნობას ბადებს.

4. დამოკიდებულება ადგილობრივ ხელისუფლებისადმი.

გამოკითხვისას რესპოდენტთა უფრო დიდი ნაწილი იმედოვნებს რომ გავლენას ცენტრალურ ხელისუფლებასთან შედარებით უფრო ადგილობრივ დონეზე მოახდენს (პირველ შემთხვევაში 23%, მეორე შემთხვევაში 47%). ეს იმაზე მეტყველებს, რომ თემზე ზეგავლენის მოხდენა ახალგაზრდების აზრით, უფრო იოლია, ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ამრიგად საქართველოში დეცენტრალიზაციისა და რეალური თვითმმართველობის განვითარების შემთხვევაში მოსახლეობია (და განსაკუთრებით ახალგაზრდობის) საზოგადოებრივი აქტობის გაზრდას უნდა ველოდოთ.

X X X

საინტერესოა გამოკითხვის შედეგების მიხედვით ზოგადად რა აინტერესებს ახალგაზრდობას.

გამოკითხვაში სიტუაციის ზოგადი შეფასების გარდა შესული იყო კითხვები, რომლებსაც უნდა გაერკვია საზოგადოების დამოკიდებულება უმთავრეს საჭირბოროტო საკითხებთან. სულ გამოიყო 14 ასეთი თემა:

1. საგარეო პოლიტიკური სიტუაცია;
2. პარლამენტის მოღვაწეობა;
3. მთავრობის მოღვაწეობა;
4. პრეზიდენტის მოღვაწეობა;
5. სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობა;
6. სამხედრო საკითხები;
7. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური ზონა;
8. სოციალური სფერო;
9. ახალგაზრდობის მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში;
10. არჩევნები;
11. იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა;
12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობა;
13. ოპოზიციის მოღვაწეობა;
14. ადამიანის უფლებათა დაცვა.

საინტერესოა, რომ გამოკითხულებს თითქმის არ აინტერესებთ პრეზიდენტისა და პარლამენტის მოღვაწეობა (გამოკითხულთა 6-7%%). რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოღვაწეობას და არჩევნებს (შესაბამისად 4 და 2%%), ეს შედეგი არ არის გასაკვირი, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი ახალია საქართველოსთვის და ბევრმა არც კი იცის, რა არის ეს საერთოდ, ხოლო არჩევნების როლი მოსახლეობას ალბათ არ ესმის და/ან დისკრედიტირებულია მის თვალში, რაც სხვა მონაცემებმაც აჩვენა.
აღსანიშნავია დაინტერესება ადმიანის უფლებებით, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმასაც, რომ გამოკითხულები თავად შეჯახებიან ამ პრობლემას, რაც მის აქტუალობაზე მიანიშნებს. განსაკუთრებით მაღალი პროცენტია ამ მხრივ გურიაში - 80.5% და შიდა ქართლში - 60.9%. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც წესი 47-55%% შორის მერყეობს (აჭარა, თბილისი, იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი). შედარებით დაბალი მაჩვენებელია (18-36%%) მთიან რეგიონებში (რაჭა, მესხეთი, მთიანეთი).
სხვა საკითხებიდან, რომლისადმი ინტერესიც მაღალია, აღსანიშნავია:

სპორტისა და კულტურის სფერო (36%);
ახალგაზრდობის მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში (26%);
ეკონომიკის სფერო (21%).

საინტერესოა, თუ რა როლს ანიჭებს ახალგაზრდობა მას მედიას - რისი ნახვა სურს, რას ხედავს და რამდენად შეესაბამება რეალური სურათი მოსახლეობის მოლოდინებს.
გამოკითხვის მასალების მიხედვით შემდეგი სურათი იქმნება:

გამოკითხულთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საინფორმაციო საშუალებები ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობს:

1. პარლამენტის მოღვაწეობა - 62.7%
2. პრეზიდენტის მოღვაწეობა - 48.9%;
3. მთავრობის მოღვაწეობა - 47.3%;
4. არჩევნები - 12.9%;
5. ოპოზიციის მოღვაწეობა - 11.3%.

რესპონდენტების აზრით, ტელევიზიასა და პრესაში საკმარისზე ნაკლები ყურადღება ეთმობა შემდეგ თემებს:

1. ადამიანის უფლებათა დაცვა - 44.7%;
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა - 28.4%;
3. სოციალური სფერო - 27.6%;
4. ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში - 26.8%;
5. სპორტისა და კულტურის სფერო - 25.1%;
6. ეკონომიკის სფერო - 19.3%;
7. სამხედრო საკითხები - 11.0%.

ყოველივე ზემოთმოყვანილის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ გამოკითხულებს, მათი აზრით, ნაკლებად შუქდება, ხოლო ის, რაც ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ - ზედმეტად.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ მართლდება ახალგაზრდების მოლოდინები მასმედიათან დაკავშირებით.
გამოკითხვასთან ერთად განხორციელდა მასმედიის საშუალების კონტენტ-ანალიზი, რომელსაც უნდა გამოევლინა წარმოდგენილი ინფორმაციის ზოგიერთი პარამეტრი და მისი შესაბამისობა გამოკითხვის შედეგებთან.
მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პოლიტიკური თემების ჩამონათვალი მათი ამ საშუალებებში 2 კვირის მანძილზე გამოჩენის სიხშირის მიხედვით:

ანალიზის #	თემა	გამოკითხვის #
1	საგარეო პოლიტიკური სიტუაცია	9
2	პარლამენტის მოღვაწეობა	11
3	მთავრობის მოღვაწეობა	12
4	პრეზიდენტის მოღვაწეობა	6
5	სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობა	8
6	სამხედრო საკითხები	10
7	სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური ზონა	4
8	სოციალური სფერო	7
9	ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში	2
10	არჩევნები	1
11	იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა	3
12	თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობა	13
13	ოპოზიციის მოღვაწეობა	5
14	ადამიანის უფლებათა დაცვა	14

ალბათ ეს მონაცემები კომენტარს არ საჭიროებს, თუმცა მაინც შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

მონაცემები ადასტურებს გამოკითხვის შედეგებს, სადაც მოსახლეობისთვის ყველაზე საინტერესო თემებს შორის არის კიდევ ერთი - სოციალური სფერო, რომელიც კონტენტ-ანალიზის ჩამონათვალში 7-ე ადგილზეა. გამოკითხულებს არ აინტერესებთ თემა - არჩევნები, თანაც მიაჩნდათ, რომ ის ზედმეტად შუქდება. აღმოჩნდა, რომ ეს თემა ყველაზე ნაკლებად შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. თუმცა, აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს თემა ძირითადად პერიოდულად შუქდება და ეს გაშუქება არ დაემთხვა კონტენტ-ანალიზის ჩატარების პერიოდს, რადგან იმ მომენტისათვის აქტუალური არ იყო.
გამოკითხვიდან არ ჩანდა მოსახლეობის აზრი, როგორ შუქდება თემა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობა - ზედმეტად თუ ნაკლებად, აღმოჩნდა, რომ რეალურად ნაკლებად შუქდება, თუმცა ეს თემა გამოკითხულებს მაინც არ აინტერესებთ.
"მთავრობის მოღვაწეობის" გარდა ყველა ჩამოთვლილი თემა სათანადოდ აისახება პრესაში და ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებში, როგორც ეს გამოკითხვის ზოგიერთი მონაცემის შესამოწმებლად ჩატარებულმა კონტენტ-ანალიზმა აჩვენა.
აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებისათვის ყველაზე მეტად საინტერესო სამი თემა ყველაზე ნაკლებად იჩენს თავს მასმედიის საშუალებებში, ხოლო ყველაზე მეტად გაშუქებული სამი თემა (საგარეო პოლიტიკური სიტუაცია, პარლამენტის მოღვაწეობა და პრეზიდენტის მოღვაწეობა) ახალგაზრდებს თითქმის არ აინტერესებთ.

X X X

ყოველივე ზემოთქმულს გარდა ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ორ ასპექტს:

ა. შეხედულებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საყურადღებოა შემდეგი მონაცემები:
საგარეო პოლიტიკის საკითხები და სოციალური სფერო ყველაზე მეტად აინტერესებთ 32-35 წლის რესპონდენტებს, შესაბამისად - 35.4%; და 32.6%, სოციალური სფერო 17-21 წლის ახალგაზრდებს ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ 11.6%.
სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, ცხრილის სახით მოვიტან შესაბამის მონაცემებს:

ასაკი	**17-21**	**22-26**	**27-31**	**32-35**
შიდაპოლიტიკური სიტუაცია	15.5	21.5	28.7	34.3
სამხედრო საკითხები	35.5	28.0	18.7	17.8
საგარეო პოლიტიკური სიტუაცია	20.7	24.4	19.5	35.4
სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური ზონა	11.9	26.9	35.8	25.4
იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა	17.9	35.1	20.2	26.8
ოპოზიციის მოღვაწეობა	16.4	21.6	32.1	29.9
ადამიანის უფლებათა დაცვა	23.2	29.5	26.3	21.2
თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობა	20.5	25.6	23.1	30.8
არჩევნები	55.0	10.0	20.0	15.0
სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობა	21.8	29.7	20.8	27.7
ეკონომიკის სფერო	18.8	28.4	27.4	25.4
სპორტი და კულტურა	34.5	29.3	22.4	13.8
სოციალური სფერო	11.6	29.0	26.8	32.6
ახალგაზრდობის მონაწილეობა პოლიტიკაში	34.8	29.6	19.2	16.4
მთავრობის მოღვაწეობა	22.2	25.4	23.8	28.6
პარლამენტის მოღვაწეობა	23.5	25.0	22.1	29.4
პრეზიდენტის მოღვაწეობა	28.1	31.3	18.8	21.9

მონაცემები თავისთავად მეტყველებს სხვადასხვა საკითხებისადმი სხვადასხვა ასაკის რესპოდენტთა დამოკიდებულებაზე.

პასუხები ასაკობრივი რანჟირების მიხედვით: ადრეულ ასაკში უფრო ჭარბობს სამოქალაქო და სოციალური მოთხოვნები, სახელმწიფოებრივი (პოლიტიკური) აზროვნება იზრდება ასაკთან ერთად იკვეთება კიდევ ერთი ტენდენცია - შუა თაობა (22-26 წელი) უფრო სოციალურად ორიენტირებულია და რადიკალიზმით გამოირჩევა

ბ. ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობისა და მომზადების დონე

შეიძლება გაკეთდეს საბოლოო დასკვნა, რომ საქართველოს ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივობა და პოლიტიკური შეგნება საკმაოდ დაბალია. ეს მონაცემები, ერთის მხრივ, ახალგაზრდების პოლიტიკური განათლებისა და ცნობიერების დაბალ დონეზე მიუთითებს, ხოლო მეორეს მხრივ, საგანმანათლებლო ღონისძიებების სიმწირეზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო ღონისძიებების დროს განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ თემებზე, სადაც ახალგაზრდების მიერ მცირე ცოდნა იქნა გამოვლენილი:

დემოკრატია, მისი არსი, მნიშვნელობა, ფორმები;

არჩევნების მნიშვნელობა და როლი დემოკრატიის, ღია საზოგადოების შენების საქმეში;

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების როლი წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამკვიდრებაში, დეცენტრალიზაცია;

მოსახლეობის ჩართვა წარმომადგენლობითი დემოკრატიის გზით.

ვფიქრობ ამ პრობლემათა გადაჭრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებაში გამეფებული აპათიის დაძლევასა და მოსახლეობის გააქტიურების პროცესს.

დავით ლოსაბერიძე
09.06.02